მადრიდში, ”ოთხთა ტურნირზე”

1 სექტემბერს მადრიდში დაიწყო ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ევროპის საუკეთესო გუნდები: ”რეალი” (მადრიდი, ესპანეთი), ”ბაიერნი” (მიუნხენი, გფრ), ”აზ 67” (ალკმარი, ჰოლანდია) და ”დინამო” (თბილისი, სსრ კავშირი).

ტურნირის პირველ დღეს თბილისელები შეხვდნენ მადრიდის ”რეალს”. დინამოელები ორჯერ დაწინაურდნენ 1:0 (პირველი ტაიმი) და 2:1, მაგრამ მასპინძლებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და 8 წუთის მანძილზე 3 ბურთი გაიტანეს. გაიმარჯვა ”რეალმა” – 4:2.

დინამოელთაგან ორივე ბურთი გაიტანა შენგელიამ (ერთი - პენალტით).

ამავე გუნდების ახალგაზრდულ შემადგენლობათა მატჩშიც წარმატება მადრიდელებს ხვდათ წილად - 1:0.

სამწუხაროდ, მატჩის დასაწყისში ტრავმა მიიღო თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელმა დ. ყიფიანმა, რომელსაც თაბაშირში ჩაუსვეს ფეხი.

”აზ 67”-სა და ”ბაიერნის” დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრეედ 2:2 (1:1). დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა - 5:4.

ფინალში პირველ ადგილს ერთმანეთს შეეცილებიან ”აზ 67” და ”რეალი”, მესამე ადგილისთვის თბილისელებს ბრძოლა აქვთ ”ბაიერნთან”.

”ლელო”, 3 სექტემბერი, 1981 წ.